ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №5
2024 წლის 5 თებერვალი

სოფ. წეროვანი

„ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მეოთხე პუნქტის საფუძველზე, ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის №28 დადგენილებაში (ვებგვერდი, 29.12.2014, სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.150.016073) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების მე-11 მუხლის მეოთხე პუნქტიდან მთლიანად იქნეს ამოღებული „კ“ ქვეპუნქტი:

„კ) სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახური.“.

2. ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების მე-12 მუხლიდან მთლიანად იქნეს ამოღებული მეათე პუნქტი:

„10. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ძირითადი ფუნქციებია: სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის საკითხებში მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების უზრუნველყოფა.“.

3. ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების მე-14 მუხლის მეხუთე პუნქტიდან მთლიანად იქნეს ამოღებული „პ“ ქვეპუნქტი:

„პ) მონაწილეობს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის და სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის, სამხედრო სასწავლო შეკრებების ჩატარების, დაწყებითი სამხედრო სწავლების, სამხედრო პატრიოტული აღზრდისა და სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზების საკითხებში.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახალგორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **თამაზ ბალაშვილი**